

# საბჭოთა კავშირი

№ 5  
მარტი  
1935 წ.



ვ. ზნამენსკი

## როგორ განვსაზრდებთ

„რკინის გზებზე კატასტროფების და ავარიების შემთხვევები ჯერ კიდევ დიდია“

(აშ. კავანოვიჩის ბრძანებიდან)

- არიქო, მოგახსენოთ გაზეთის წაკითხვა, სანამ კატასტროფა მოხდებოდეს..

# „უანკო სკოპცოში, საამური“

## ნაპოლეონის სურვილი „წმინდანები“

### ნიანგის წერილები საზღვარგარეთიდან

#### 2. „საამური ნაპოლეონის სურვილი“

საერთაშორისო საკითხები ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ამ შოვლენამ გადამაწყვეტა მცირე ხნით უცხოეთში გამგზავრება. ჩემი მიზანია ვაფუკეთო ჩემი ყურნალის მკითხველებს მოკლე ინფორმაცია ყველა ამის შესახებ, რაც ვნახე და ვავიგონე და ვაფუზიარო გზადაგზა ჩემი შთაბეჭდილებაც.

#### 1. „უანკო“ ცრემლები

პირველი რეისი ჩემი გემის მიხედვით ტოკიოში უნდა გამეკეთებია, მაგრამ ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვაშინგტონში ამოვყავი თავი. სხვათა შორის ამ ქალაქში იაპონიის საელჩო ვინახულე.

— საქართველოდან ხარ? — შემეკითხა იაპონიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში — ბატონი საიტო.

— დიალ, საქართველოდან ნიანგის რწმუნებული — (ტაქტიკური მოსაზრებით თავი ნიანგის რწმუნებულად გავასაღე).

— სასიამოვნოა. ვიცი ეგ წარმტაცი ქვეყანა, ძალიან კარგად ვიცი მისი ამწყო და წარსული.

— როგორ! საიდან?

— როგორ თუ საიდან. ეგ მხარე ერთ დროს ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ტერიტორია იყო.

— ცოტა რაღაც მისწავლია ისტორიიდან, მაგრამ დებულება მაინც შეტის მეტად მეუცხოვება.

— ფაქტი მაინც არ კარგავს უცნაურობით თავის მნიშვნელობას. რომ საქართველო აპონური იქვეყანაა ამას ქართული სიტყვების იაპონურთან ნათესაობაც ამტკიცებს: დღევანდელი ქუთაისი მაგალითად წმინდა იაპონური წარმოშობისაა: ქუთაისი-ქუტაისი-კიო-ტაისი კიოტო.

— საკვირველია! — შევნიშნე მე.

— ჩვენი საზღვარი წარსულში მდინარე დუნაის ნაპირამდე აღწევდა. დღეს კი ჩვენ მშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით მთელ ცენტრალურ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპის ნაწილს გერმანიას ვუთმობთ...

— აზიის შესახებ რა აზრისა ხართ?

— აზია აზიელების ქვეყანაა: ჩვენ აზიელები ვართ, მაშასადამე აზია ჩვენი სახელმწიფო უნდა გახდეს.

— მაგ მიზნით დაიპყრით მანჯურია?

— დიალ, იაპონელების სიცოცხლის და ქონების დაცვის მიზნით.

— კი მაგრამ იქ რომ იაპონელები არ არიან?

— ცდებით, მაშ იქ დაბანაკებული რამდენიმე ათასეული ათასი იაპონელი მხედრები ხუნხუზები გგონიათ თუ ბაში-ბუზუკები? ჩვენ არ გვინდოდა ამ ტერიტორიის დაკავება მაგრამ საბჭოთა პრობაგანდის შიშით იძულებული ვაგვხდით ასე მოვქცეულიყავით... ჩვენ გვინდა... ჩვენ არც ჩინეთის დანარჩენი ნაწილის დაბყრობა გვინდა, არც აღმოსავლეთ ციმბირის, არც მონგოლეთის... მაგრამ... და ამ სიტყვებზე საიტომ თვალები აიცრემლა.

—... მაგრამ ამ ზრახვების განხორციელებას ჩვენ მხოლოდ თავდაცვის მიზნით ვაპირებთ... ჩვენ მზადა ვართ თავდაცვის მიზნით მთელი ქვეყანა...

— აღმოსავლეთით შენა ხარ, დასავლეთით მე „საწყალი“, დავიკაოთ, — ჩვენ გვეკუთვნის — მთელი ქვეყნის მიწა-წყალი —

მომესმა ამ დროს ბერლინიდან რადიო აპარატში გენერალ ალფერდ როზენბერგის ხმა, რომელსაც „მომღერალი“ იაპონელ გენერალ არაკის მისამართით „არაკრაკებდა.“ და თუმცა ჩემსა და როზენბერგის შორის საზღვარი ცხენის წყალზე გაცილებით უფრო დიდი იყო, მაგრამ მე მაინც რამოდენიმე წუთში ბერლინში გავჩნდი.

— დოიტულანდ, დოიტულანდ იუბერ ალეს!\*) ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა და ამიტომ მოვითხოვთ შეიარაღება! ჩვენ ომის სასტიკი წინააღმდეგი ვართ და ამ მიზნით ვაპირებთ აღმოსავლეთზე გალაშქრებას. ჩვენ არ გვაქვს არავითარი აგრესიული მიზნები: ჩვენ მხოლოდ მემელის დანცინგის კარიდორის, ელზას-ლორენის ყოფ. ავსტრიის, რიგის, უკრაინის და საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიების შეერთება გვინდა. ჩვენ მზად ვართ მშვიდობიანობის პაკტზე ხელის მოწერის... ომის დამთავრების შემდეგ! — წარმოსთქვა როზენბერგმა.

— ვიცნობთ თქვენს პოლიტიკას. საქართველოს საბჭოთა პრესაში ხშირად იწერება ხოლმე დეპეშათა სააგენტოს...

მაგრამ ამ დროს მოსაუბრემ სიტყვა შემაწყვეტა:

— საქართველოდან ხართ? სასიამოვნოა... მაგ სახელის ხსენებისთანავე საამური ნაპოლეონის სურვილი მეცა... —

#### 3. მოკრივე „წმინდანები“

მაღე გავშორდი ფაშისტურ გერმანიას და პარიზში ამოვყავი თავი.

— რა იცით ომის შესახებ? — განგებ შევეკითხე ორ რუს ემიგრანტს, რომლებიც ერთ მიყრუებულ ქუჩაზე კაფეში იჯდნენ და ვაზეთ „ვოზროჟდენის“ კითხულობდნენ.

— ჩვეულებრივ მიმდინარეობს! — მითხრა ერთმა.

— როგორ?! უკვე დაიწყა?

— რა ხანია, სულ ძმარს აღენდნენ ცხვირში ერთი-მეორეს. მე ვამოცა მისმა პასუხმა.

— თუ გინდათ, გაჩვენებთ. გეტყობათ რომ პარიზში ახალი ჩამოსული უნდა იყოს! — მითხრა მეორემ.



...მაშ ანტონი მამა ევლოგის სასირცხო ადგილზე მუხლის თავს სცემდა...

— როგორ „მაჩვენებს“? — ვავიფიქრე მე და ჩემი გაოცება განცვიფრებად გადაიქცა.

— საიდან შეძლება ომის დანახვა?

— აქვე, ტაძარში. წავიდეთ.

\* — გერმანეთი, გერმანეთი უპრველეს ყოვლისა.

არ დამემდურო, ვენიზელოსო,  
 თუ გამარჯვება ვერ მოგილოცო,  
 სჯობს დამიჯერო მე შენ, მოხუცო,  
 გირჩევ კრიტიკიდან დროზე მოჰკურცხლო!  
 გეთაყვა, აბა ერთი მითხარი:  
 თავის სამარე რად გაითხარი?  
 წყნარად მჯდარიყავ ის არ გერჩია,  
 ზეთისხილი, ან თხალი გერჩია?  
 ვერვის შეაცდენ დღეს დაპირებით,  
 რაგინდ ცხოვრობდეს ის გაჭირვებით!  
 შენ რომ დაგემხო მთავრობა ძველი,—  
 რაც დღეს არ არის იმდენად ძნელი,—  
 დაამყარებდი მაგიერს ახალს:  
 გაახარებდი ამითი რა ხალხს?—  
 მემამულეებს, ვაჭრებს, ბანკირებს;  
 მიტომ სრულებით ნუ გაგაკვირვებს,—  
 ხალხს არ სურს დაცვა მთავრობის ძველის,  
 მაგრამ შენგანაც ხეირს არ ელის!  
 შენს ფეხის ხმას ის რამდენჯერც აჰყვა,  
 შედეგათ იცის ამას რაც მოჰყვა?  
 დღეს ისეთ ბრიყვებს ცოტას-და ნახავ,  
 ქვიჯაში წყალი რომ ტყვილად ნაყონ!  
 მართავს მეფე, თუ „დემოკრატია“,  
 მშრომელ ხალხისთვის ეს სულერთია,  
 რაკი გაეცნო ის ჩვენს საბჭოებს,  
 მაზე ოცნებას აღარ დასტოვებს:  
 რამდენიც გსურდეთ მაშ თქვენ იდავეთ,  
 თუგინდ ერთმანეთს თავი ახალეთ,  
 ამას სრულებით ჩვენ არ ვიღარდებთ,  
 გაზაფხებასაც კი არ ვიკადრებთ!  
 ჩქარა დადგება ისეთი ხანა,—  
 ამას გრძნობს უკვე ძველი ქვეყანა,—  
 მუშათა კლასი აბობოქრდება,  
 სხვებთან მაშინ შენც ბევრი მოგხვდება! 1)

ს. თ-რა

1) ნიანის შენიშვნა

ჩვენ ამ ლექსის სტრიქონები  
 აწყობილი გვექონდა უკვე,  
 როს წაუხდა ვენიზელოსს  
 „გმირობა“ და სიჩაუქე.  
 გაუცუდდა „ვაჟკაცობა“  
 ვერ გავიდა ბრძოლის ლელოს  
 და ნიახურ აროსმული  
 უკვე გარბის ვენიზელოს.

თემა მედუზასი.

ნახ. გ. ხსენის

მიუხედავად ზოგიერთ მიღწევებისა ტრამვაი ჯერ კიდევ რბა  
 ტფილისის კომუნალურ მეურნეობაში ვიწრო ადგილად



მოქალაქე იქსი იგრეკისძე ვერმიცანაშვილი გთხოვს გამოგა-  
 ცხადოთ, რომ მან ტრამვაის გასაჩერებელ ბაქანთან, რუსთაველის  
 თეატრის მახლობლად იპოვა უცნობ მოქალაქის ყური. პატრონს  
 შეუძლია დაკარგული „ნივთი“ მოიკითხოს ტფ. რკ. ტრესტის სა-  
 მმართველოში.

მისი ნათქვამი სულელურ ხუმრობათ მომეჩვენა, მაგრამ მაინც  
 გაყვევი და მართლაც ჩემთვის მოულოდნელი სანახაობა ვნახე:

ორი რუსი მიტროპოლიტი მამა ევლოგი და მამა ანტონი ჩა-  
 ფრენოდენ ერთმანეთს ტრაპეზის წინ წვერებში და ქრისტეს მოცი-  
 ქულები ერთი მეორის „მოციქულთა სწორ თავებს“ წიწილასავით  
 პუტავდნენ. თან მამა ევლოგი მამა ანტონს წინიდან სასიროცხო აღ-  
 გილზე შეუბრალებლად მუხლის თავს სცემდა. მამა ანტონი კი თან  
 ევლოგის წვერებს ხელზე იხვევდა და თან ისეთი ქუჩური სიტყვე-  
 ბით ივინებოდა, რომ სახატებზე დაკიდულ წმინდანებს სირცხვი-  
 ლით სახეზე სიწითლე მორეოდათ.

— ახლა კიდევ არ გჯერა ჩვენი ნათქვამი?! ათი წელიწადია  
 აგრე ომობენ და ომი ისევ გრძელდება—მითხრა ისევ კაფეში გაც-  
 ნობილმა ემიგრანტმა.

ახლა კი მივხვდი, თუ რომელ ომს გულისხმობდნ ჩემს პირველ  
 შეკითხვებზე „ვაზრაჟდენის“ მკითხველი ემიგრანტები და ამ სანა-  
 ხაობით ცოტა გამხიარულებული, მდინარე სენის ნაპირებს გავყევი.  
 მივყვებოდი სანაპირო ქუჩას და ჩემ დაუნებურად ადოლფ როზენბე-  
 რგის სიტყვები მაგონდებოდა: „საქართველოდან ხართ? სასიამოვნოა...  
 მაგ სახელის ხსენების თანავე სამაური ნავთის სუნი მეცა!!“

ნავთის სუნის რა მოგახსენოდა მე კი პირველათ ახალი მსო-  
 ფლიო ომის სუნი მეცა. იკითხონ როზენბერგებმა, მსოფლიო ომმა  
 და ნავთმა მსოფლიო ხანძარი იცის,

ნიანგი.

თუ გჰქედულს ნალი არა აქვს...

„ჩხორთწყუს ფოსტის განყოფილებაში არ იშოვება საფოსტო  
 მარკები და სატელეგრაფო ბლანკები.“

- დედაბერი შევიდა ჩხორო-წყუს ფოსტაში.
- დილა მშვიდობის შვილო.— მიესალმა მოხელეს ვეკუას და ამოიღო ღვინის ქიქა. ა, შვილო, ჩამისხი ამში ოთხი აბაზის.
- რა ჩავისხათ?
- სასაქმებელი ზეთი გენაცვალე, ბალანაი მყავს ავად და კუ-  
 ჭი გუთუწმინდო მიჩივიან.
- მერე ჩვენთან ზეთს რა უნდა?
- არ გაქვთ ნენა აპა?
- არა.
- აპა, მაშ დანივრული პადრიჯანი გექნებათ.
- არც ისა გვაქვს—გაკვირვებით უპასუხებს ვეკუა,
- მაშ ხვანჯარი მაინც მომეციო ყაძახს გოიყური ჩაქურაში.
- ევ საიდანლა წარმოიდგინეთ რომ გვექნება?—არ გვაქვს.
- არც შიბაქი გაქვთ გულო?— იგი მაინც მომეციო ჩვილი  
 ბალანა გვყავს სახლში.
- არ გვაქვს ბატონო არა—(ვეკუას გული მოსდის)
- აპა მაშ დედაშვილობას ერთი კომეტის კულის რიკი მაინც  
 მომიჭერი მანათის იყოს წელის ტკივილიზა კარგიაო ჩივიან.
- ვეკუა მოთმინებიდან გამოსული ყვირის.
- გვეცინი თუ რაა, აქანა რა უნდა მაგფერ რაცხეებს. აქანა  
 ფოსტის განყოფილება.
- კი ვიცი ნენა, რომ ფოსტის განყოფილება მარა საფოსტო  
 რომ არაფერი გაქვთ, აი საოჯახოები გექნებოდათ მეგონა. აპა თუ  
 არც აგენი გაქვთ, დაკეტეთ ბები მაი ღუქანი რაიზე ცლებით მაგ-  
 ხელა ყაძახები?

ჩაჩნაგირი.



— ვაი, რა დროს მოვესწარი! პირველი გილდის ვაჭარს თავისი მოახლის ქალიშვილი ახამართლებს!

# ოპიკტური მიზანი



იყო და არაიყო რა, იყო ერთი ობიექტიური მიზანი.

დღემამა აღრე დაეხოცა და ობოლ-ობერი სოფლიდან სოფლად დაეხეტებოდა.



—ქვეყანა დიდია მაღლი მოწყალესა, საზრდის ვიშოვი და თავს გავიტანო, — ფიქრობდა. მაგრამ იმ საწყალ ობიექტიურ მიზნებს იღბალი არ შეხვდა: სადაც არ მივიდა, პანდურიო გახვთქეს:

—ჰაი შე ასეთ-ისეთო, საქმის ასარეგად მოსულხარო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა ეს ჩვენი ობიექტიური მიზნი ბოლოს მიადგა ერთ კოლმეურნეობასა. თავმჯდომარე იკითხა, მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

ჰოი არეო შარეო,  
შენ ჩვენო თავმჯდომარეო,  
ობოლი დაფრჩი დედ-მამას,  
მიშველე, მომიარეო.

თავმჯდომარემ ახედ-დახედა, კაი შორბედიო იფიქრა და შეეკითხა:

—მოთმენა შეგიძლია?

—ზოგი შემძლია და ზოგი თვითონ მასწავლეო, — მიუგო.

თავმჯდომარემ შეილად აიყვანა ეს ჩვენი ობიექტიური მიზნი და თავის კაბინეტში რომელიც დიდი-საყარძელი იყო, იმაში ჩასვა თვითონ კი წამოწვა მხარეთმცხე და ამოუწვა ხერინვა.

ხერინავს თავმჯდომარე და ერთიც ვნახოთ ზამთარი კარზე მოადგა.

—ეს გამწვევი ძალა რომ უსაკვებოდ შემახედრე, ხომ დაიხოცებიანო? — უთხრა ზამთარმა.

—რა ჩემი ბრალია, ემანდერა ობიექტიური მიზნი, პასუხი მაგას მოსთხოვეო უპასუხა თავმჯდომარემ და ახლა მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

მოსდგა ზამთარი და სულ შემშლით დახოცილი ხარების კუდით აუწვა გვერდები.

ითმენს ობიექტიური მიზნი, მერი რა

გზა აქვს?

ქალაქიდან კომისია ჩამოვიდა და თავმჯდომარეს დააცხრა:

—ე იარალ მანქანები ვარეთ რო გიყრი-თ და ფუჭდება, ვინ აგებს პასუხსაო? თავმჯდომარემ ობიექტიურ მიზნზე მიუთითა.

ახლა იმ კომისიამ უცხუნა ამ საწყალ ობიექტურსა.

გაზაფხული მოახლოვდა. რაიონიდან ცირკულიარი მოვიდა—თესვისათვის მოემზადეთო.

—ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიქვიტქვიტა თავმჯდომარემ, — ვარეთ თოვლი და ყინვაა, ისინი კი—თესვაზე ლაპარაკობენ, აცალონ მამაცხონებულეებმა, მიწა გაშრეს, ჰავა გათბეს, გაზაფხული მგელი ხომ არ არის, რომ ტყეში ვაგვექცეს?

გადაბრუნდა დაიძინა.

ობიექტიურ მიზნს კი გული უსკდება, აი საცაა მოვლენ და მე დამაბრალებენო.



აკი ასეც მოხდა:

შეფი ჩამოვიდა და ვაოცდა:

—ჯერ ტრაქტორები არ შეგიკეთებიათ?

—შევაკეთებდი, მაგრამ ობიექტიურმა შემიშალა ხელი.

მოსცხო და მოსცხო ამ შეფმაც—ობიექტიურს;

ითმენს და ითმენს ეს ობიექტიური მიზნიცა.

მერე ბრიგადა გაჩნდა.

—თესლი არ შეგიწამლიათ?

—თესლი რომ იყოს კი შევწამლავდი, მაგრამ სადა გვაქვს?

—რა მიზნით არა გაქვთ?

—ობიექტიურით.

ამ ბრიგადამაც ვაულაწუნა ყურის ძირში საწყალ ობიექტიურსა.

რას იზამს? უნდა მოითმინოს, სხვა მიზნი რომ იყოს, სხვაა, მაგრამ ობიექტიურია და მერი რა გზა აქვს?

გაზაფხული, ჰა, მიწურულზე დადგა სხეულის ჯეჯილმა მუხლამდე შემოიძახა ეს ჩვენი თავმჯდომარე კი ახლა შეიშმუნა და სახნავად გაიტანა მოღრეცილი ტრაქტორი.

რევიზია მოვიდა ცენტრიდან.

დაინახა თუ არა ამ ჩვენმა ობიექტიურმა მიზნებმა მორთო ღრიალი:

—არქა მიშველეთ, მერის ატანა აღარ შემძლიაო,—

—რა აღრიალებს ამ საცოდავს? — შეეკათხა თავმჯდომარეს რევიზია.

—ქურდს ქული ეწვისო, ხომ გავიგონია ამხ. რევიზიავ, იცის რომ სულ მაგის მიზნითა გეკირს ჩამორჩენა ხენა-თესვაშია და თავს ვაცოდებს.

—არა, არა ამხანაგებო, — ყვიროდა ობიექტიური, ეგ უქნარა აქამდე ჩემით ვადიოდა ფონსა, ვინც პასუხი მოსთხოვა ჩემზე მოუთითა, ყველამ მე მირტყა—მეტს აღარ ავიტან, იწამეთ სამართლიანობა.

რევიზიამ დაღო ქული დასამართალი ქნა: აჰკიდეს ეს თავმჯდომარე ობიექტიურ მიზნსა და უთხრეს: აიტანიე მაღალ კლდეზე და იქიდან ისროლეო.

გაუხარდა ობიექტიურსა, უხურგა ამ თავმჯდომარესა და ჰერი კლდისაკენა.

მაშინ კოლმეურნეობაში გაჩაღდა ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა და გასწიეს იმის წევრებმა შეძლებული ცხოვრებისაკენ.


სწორედ ამაზე მღერია ჩვენს კოლექტივში:

როცა საჭე გვაღება  
ჩემო ძმო ზურიო,  
გაკეთე,—ვერ გიშველის  
„ობიექტიურიაო“

წაიკითხონ ეს ზღაპარი ორჯონიკიძის რაიმიწვანის მუშაკებმა, კიცხის, ლედვანის, წიფის, ლორეშის, ხევის, ხუნევის, კასპის—მტს—ის, ყაბაიის, სავარეჯოს, ამბროლაურის აბაშის, სიღნაღის და ზოგიერთ სხვა კოლ-



მეურნეთა ხელმძღვანელებმა, — ხომ არ გავს აქ მოთხოვნილი ამხავი მათს მზადებას—საგაზაფხულო თესვისათვის?



გუთნის-დედა (მეხრეს):—ხარებს დაშორდი, ახლოს ნუ მოუახლოვდები, თორემ ჩალას მისწვდებიან და გუთანს აღარ გასწვდენ!

კატარა მოთხრობები

საქმიანო ექიმი

სად. ჩაქვის შენობიდან მძიმე ავადმყოფი გამოიყვანეს საკაცზე დაწოლილი.

— სად მიპირებთ წაყვანას? — იკითხა ავადმყოფმა.

— ექიმთან, პუნქტში.

— რომელ ექიმთან?

— აი ის რომ არის, რომელიც ქედდან გამოიყვანეს.

— რა გვარია?

— შავწვერაძე.

ამის გაგონებაზე ავადმყოფი წამოხტა და გაიქცა. მან ისე მოკურცხლა, რომ გვერებოდათ ფრთები გამოესხაო.

— სასწაულია, სასწაული!

— დალოცვილი ექიმი ყოფილა, ყველაფრის მცოდნე და ყოველივე სენის მომჩინი!

— ჭეშმარიტად სასწაულმოქმედი ექიმი. მისი გვარის ხსენებაზედაც კი განიკურნა მძიმე ავადმყოფი.

— მივიდეთ და თაყვანი ვსცეთ! — გადაწყვიტეს და წავიდნენ.

როცა ესენი პუნქტს მიუახლოვდნენ, ავტოთი მოიყვანეს გაქცეული ავადმყოფი. შეშლილი ჰგონებოდათ და გზაზე შეეპყრათ.

— გამიშვით, არ ვარ გადაარეული, არ მიწადა თქვენნი ექიმნი! — ყვიროდა იგი.

პუნქტში გამოირკვა, რომ ექიმი შავწვერაძე ავადმყოფებს ვერც იმ დღეს მიიღებდა, რადგან ძალზე მთვრალი იყო. თანაც სიმთვრალის გამო ენა ეშლებოდა და არ შეეძლო გინება.

ასე გადაარჩა ავადმყოფი.

ანდაზები ცხოვრებაში

— „ჭამა მადაში მოდისო,“ იტყვიან ხოლმე, და მართალიც ყოფილა. ჩემს შესახებ უკვე ისმის მითქმა-მოთქმა, მაგრამ „ვის რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. თუმცა უკვე აღარ მყოფნის ჩვენი არტელის წისქვილის შემოსავალი; საჭიროა სხვა წყაროების გამოახება! — ელაპარაკებოდა ხონის მესამე უბნის ამხ. სტურუას სახელობის საინვენტარიზაციო არტელის თავმჯდომარე აკაკი მებუჯე ბაღდადის რაიონის სოფ. დიშის კოლმეურნეობის ქ. ხონში არსებული ღვინის საწარმოს გამგე ვლადიმერ ცერცვაძეს.

— „ხერხი სჯობია ღონესო თუ კაცი მოიგონებსო“, — უთხრა ცერცვაძემ მებუჯეს.

— ეს მეც გამიგონია, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. საჭიროა მხოლოდ შენი არტელისა და ჩემი სავაჭროს ფურად გადაქცევა.

— ჩემი ფური მეტს იწველის!

— არა, ჩემი იწველის მეტს! — იკეხნიდნენ მეგობრები.

მართლაც ასე მოხდა.

ფურები კარგი მეწველი გამოდგნენ.

მაგრამ კიდევ უკეთესი მომწველნი აღმოჩნდნენ აკაკი და ვლადიმერი. სულ რამდენიმე ხნის განმავლობაში ფურებს გამოწველეს პირველმა: 69 ფუთი სიმინდი, 489 მანეთი, ხარის ტყავი, 260 მანეთი (შეშის ფული), ყავარი (200 მანეთის) და სხვა. მეორემ — 21.981 მანეთი და ბოლოს — 6950 მანეთი (სახარჯოდ გაპარვის დროს).

მაგრამ ფურებმა მაინც თავისი ჰქნეს: „იწველეს, იწველეს, ბოლოს ჰკრეს წიხლი და სულ დაღვარეს“.

ჯეშაკი.

\*\*\*

მე და ის

ამას წინაღ ჩემთან მოვიდა „სოიუზზეჩატის“ თელავის განყოფილების რწმუნებული და მთხოვა დახმარება გამეწია მისთვის რუისპირის (თელავის რაიონი) კოლმეურნეთა შორის გაზეთების გავრცელების საქმეში.

ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

მე: — არავითარი დახმარება!

ის: — თქვენ იცით თუ არა, რომ არსებობს რაიკომის დადგენილება, რომლის თანახმად თქვენ ვალდებული ხართ დახმარება გამიწიოთ ამ საქმეში.

მე: — ვიცი, რომ არსებობს.

ის: — მერმე?

მე: — ჩემგან თქვენ არავითარ დახმარებას არ მიიღებთ.

ის: — რატომ?

მე: — იმიტომ, რომ გაზეთებს არ ვღებულობთ.

მე: — ეს მეორე ხარისხიანი საკითხია. ჩვენთვის მთავარია გაზეთის გამოწერა! — ჩილაპარაკა მან და გამშორდა.

ლოქა ვალი

მამალი

და

მარგალიტი

იყო და არა იყორა, იყო ერთი მამალი. მიდის ეს ჩვენი მამალი პროსპექტზე და უცბად დიდი მარგალიტი იპოვა.

— ბიჭოს, ეს კაი ბედიქმეწვია, გავკეთდი და ეს არისო, — დასტაცა მარგალიტს ნისკარტი და გააქანა ტორგისინში.

— ასე და ასეა ჩემი საქმე, მარგალიტი ვიპოვე და მინდა რაციონალურად გამოვიყენო.

აიღეს ტორგისინელებმა და გადმოულაგეს სხვადასხვა ფარჩეული.

მამალმა დეზები ჩააქვია, — ეგ არ მინდაო, — მაშ პატეფონს მოგართმევთ, საცეკვაო პლასტინკებითაო, — უთხრეს ტორგისინელებმა, არც ეს ინდომა მამალმა.

— ჩვენი „პლასტინკების“ ხარისხის ამბავი რომ ვიცი მაგათ ჩემი სიმღერა მირჩევნიაო.

— მაშ ჩარლსტონის კოსტუმს მოგართმევთ.

— არც ეგ-მინდა, „მკერავის“ ვიცი რა შვილიც იქნებაო.

— მაშ რას ინებებთ? —

— რასა და ისეთი რამე მომეცით, რომ გონება გამეხსნას დი ქვეყნის ნაკარგი გავიგო. მიაართვეს მეფრინველოების განვითარების სახელმძღვანელოები.

— აი ეს მომწონს, მომიწყეთ ჩემი კუთხე და ინებეთ მარგალიტი, მოუწყეს.

— ახლა იმასაცა გთხოვთ, შეფობა არ მომაკლოთ. რომ ჩემი მუშაობა მულამ ნაყოფიერად მიდიოდესო, —


ჩაიბარა თავისი კუთხე მამალმა, ჩაბარა ტორგისინელებს მარგალიტი და გაუდგა გზას გახარებული.

ერთი სიტყვით ის ნაპოვნი მარგალიტი ისე გამოიყენა, რომ დღესაც თქვენის დღევრძელობით ცხოვრობს კმაყოფილად.

# ცხოვრება და ხელოვნება

სახ. ოპერის დირექციის განკარგულებით კომპოზიტორებს ჩამოერთვათ უფასო ბილეთები სპექტაკლებზე დასასწრებლად.

თემა და ნახატი დონის.



**არაპიზმილი:**—ეს ჩვენი შეუფასებლობაა ოპერის დირექციის წხრით.

**ფოცხვამარაშილი:**—თითონაც უხერხულ მდგომარეობაში არიან; იმდენი ნაცნობი ქალები ჰყავთ, რომ ჩვენ კი არა, მგონი მალე ფასიანი ბილეთებიც გააუქმონ!

**ბალანჩივაძე:**—შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო! ტანისამოსის ყიდვის დროს ძვირი კი გიჯდება მაგ შენი სიმაღლე, მაგრამ სამაგიეროდ ამ გაჭირვებისას ძალიან გამოგადგამ!

— ჰაი დედასა, იმ მამლის მაგალითი მაინც აელო ჩვენს თამჯდომარეს, გულამოსკენით ჩაილაპარაკეს სოფელ არგვეთის „მაქს ჰელცის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

— როგორ, თქვენმა თამჯდომარემ, ბიჭტორ დარჩიამ მარგალიტი ნახა თუ?— შეეკითხნენ საქარელები.

— მარგალიტზე უკეთესი განძი. შესანიშნავი წითელი კუთხე.

— გზაზე იპოვა?  
— გზაზე კი არა, ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნომმა მოუწყო, როგორც შეფმა.

— დარჩიამ კი რა ქნა?

— რა ქნა და ქვედა-საქარის საბჭოს აჩუქა, რა გამოსადეგია წითელი კუთხე? არ იქმევა და არ დაილევაო.

— ჰაი გიდი, ალბად საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში იყო გართული და იმიტომ.

— გართული და ეგრე?— შეფმა შემოუთვალა გვეცნობით რა ნაწილები გაკლიათ იარაღ-მანქანების შესაკეთებლად ბრიგადას გამოვგზავნიო.

— რა უპასუხა ყმაწვილო?

— იმერულად გაიპატიუა თავი, — არაფერი შესაკეთებელი ჩვენ არ გვაქვსო.

— ალბად არ იყო და რას მისწერდა?

— იცოცხლე იყო შეფის შეკეთებული ბრიგადა რომ მოვიდა, ორმოცდა ექვსი იარაღ-მანქანა აღმოაჩინა შესაკეთებელი.

— მერე?

— მერე შეაკეთა.

— თამჯდომარე ისე დარჩა?

— როგორ ისე?

— თამჯდომარესაც ხომ კლებია,

— რა. რემონტი?

— რემონტი კი არა, იმ მამლის გონიერება, მარგალიტი რომ გამოიყენა.

— ?.?.

# ვერავობა და „სიხვარული“



ქართული

„გერმანიას პოლინეა უფსკრულითაჲთა მამყავს“

უცხ. გაზეთებიდან

თემა იხელის.

ნახ. გ. კროტკოვის



—ზიდი, ზიდი, ჩემი მშვენიერო! ნუ გეშინია, ხამშვილობოზე გახვალ!



თემა შედუზასი.  
ნახ. დონის.

სოფ. ხანდაკში ქურდები თარეშობენ. მილიციის საგუშაგოს უფროსს შელასე დასაქმებულნი ქასპის რაიმილიცია არ ლებულობს საკმაო ღონისძიებებს მათ ასალაგმავად.



მილიციელი შელასე: — არიქა! თავს ვუშველოთ! ქურდები გამოჩნდნენ!

## აუხსნელი ამოცანა

პირდაპირ ფსიქიატრისაკენ გავეშურე. ექიმმა ისე თავაზიანად მიმილო, როგორც ლებულობენ საერთოდ ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც შეშლილობის ფარული ნიშნები აქვთ.

— ექიმო, მე მგონი რომ კეკუაზე ვარ შე-  
რყეული — თითქმის უიმედოთ განუცხადე მე.

— შეიძლება, ეს ჩვეულებრივი მოვლე  
ნაა... დამეთანხმა ის. — რა გაწუხებთ?

— კბილები. — ამოოხვრით ვუპასუხე მე.

— კბილის ექიმს მიმართეთ. მე ფსიქიატ-  
რი ვარ.

— ვიყავი კბილის ექიმთან...

— მერე რა გირჩიათ?

— პარიკმახერთან გამგზავნა...

— მერე იყავით პარიკმახერთან?

— ვიყავი. უარით გამომისტუმრა.

— რატომ, მეგობარო?

— უარი მითხრა კბილების გაპარსვაზე...  
ის საერთოდ კბილებსარ პარსავს...

— მაშ თქვენ... შეშინებულმა ექიმმა უკან  
დაიხია. — დიდი ხანია რომ ასე ხართ?

— კბილებში, რომ ულვაშები ამომივიდა?  
არა. ჯერ ზედა კბილები დაულვაშდნენ, ახლა  
კი ქვედა კბილებიც თმებით იფარება... ყო-  
ველი კაცი კაცური სახით დადის, მე კბი-  
ლებზე ულვაშები გამიჩნდა.

— ეს ყველაფერი ნერვიულ ნიადაგზეა —  
დამამშვილა ექიმმა. გადაშალა პაციენტების  
წიგნი და შეუღდა ნახევრად ოფიციალური  
ტონით გამოკითხვას.

— ბებია თქვენი ლოთი ხომ არ იყო?

— არა!

— მამა ნორმალური გყავთ?

— ნორმალურია. მხოლოდ ხანდახან ტრამ-  
ვაიში მოგზაურობის შემდეგ ნერვები...

— ნათესავეები ყველა ჯანმრთელად  
გყავთ?

— გმადლობთ, ყველანი კარგად არიან,  
მარტო ბიძა ჩემი ავადმყოფობს ხანდახან

ქარებით.

— საკვირველია... ჩილიაპარაკა დაბნე-  
ულმა ექიმმა — მეგვიდრეობით არაფერი აქვს;  
გამომეტყველება ჯანსაღი აქვს... აბა, პირი  
გააღეთ!

მე მაშინვე გაუხსენი ბაგეები; ექიმმა კბი-  
ლებზე დამხედა, ხელი ჩაიქნია და მხიარუ-  
ლად დაიძახა:

— თქვენ კბილებში მართლაც ობობი  
გქონიათ.

— აკი ვითხარით ექიმო?!

— თქვენ გიყი ყოფილხართ!  
— სწორედ მაგის შესახებ მოგახსენებ-  
დით ..

— რასაკვირველია, ვაჟი ყოფილ ხართ...  
სიცილით მითხრა მან, — თქვენ აღბად კბი-  
ლებს კბილის ჩოთქით ირეცხავთ.

— მაშ რითი გამოვირეცხო ექიმო? კონ-  
ნერვების გასახსნელი დანით ხომ ვერ გავიწმენ-

შპე?

— ჰოი, ახალგაზრდობავ! არ იცით სიფრთხილედ ჯანმრთელობის... მიდინართ ალბად უნივერსალურ სავაქროში, ჰყიდულობთ კბილის ჩოთქს, იღებთ მას პირში, უხახუნებთ კბილებს და განცვიფრებული რჩებით, რომ ამოგაქვთ ჩოთქის ნაცვლად, შიშველი ტარი და კბილში გრჩებათ ჯაგრის ბუძგები. აი, ბრწყინვალე შედეგი ადამიანის ბავშური გულუბრყვილობისა!..

— ექიმო, მე მეჩვენება, თითქოს ყველაფერს ვხვდები...

— წაბრძანდით. — მითხრა მან და კარებისაკენ გამოიყვანა. — თქვენ სავსებით ჯანსაღი ხართ. სცადეთ ჯაგრის ამოღება კბილებიდან შაქრის მაშათი. ნახვამდის... მართლა, ფიზიკურად ჯანმრთელი ხართ?

— მგონი საღათ ვარ. გუშინ არაფერი მიშავდა. დღეს კი არ ვიცი.

— ტემპერატურა?

— ნორმალური მაქვს ექიმო. 25 დან 42-მდე.

— რას ამბობთ ხომ არ ვადირით?

— სწორედ მაგ მიზეზით მოვედი თქვენთან. თერმომეტრიც თან მოვიტანე. სამწუხაროთ თერმომეტრს ხაზები აკლია. შეიძლება ჩემი ტემპერატურა ორმოცდასამიდან ორმოცდათექვსმეტამდე აღწევდეს!

მე ამოვიღე ის აბეზარი ჭიქის ხელსაწყო და ექიმს გაუწოდე.

— გაიკეთეთ ილლიაში და 10 წუთს მშვიდად იჯექით! — მითხრა ექიმმა.

ათი წუთის შემდეგ ექიმმა თერმომეტრი ამოიღო; ხაზებს დააკვირდა. მის სახეს განცვიფრება დაეტყო. ტუტი ძირიდან არ დანძრეულიყო.

— ნაჩვენები ტემპერატურის მიხედვით, თქვენ უკვე მესამე დღეა, რაც გარდაცვლილხართ.

— არ ვიცი, ამხანაგო ექიმო! ყოველ შემთხვევაში ნახევარი საათის წინად, როდესაც ქუჩაზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის დამაჯარიმეს, მე ცოცხალი ვიყავი.

ექიმმა თერმომეტრი ხელახლა გამოიკეთა. როდესაც გამოიღო ტემპერატურა 41 გრადუს სიცხეს უჩვენებდა.

— კიდევ ვცადოთ! — მითხრა ექიმმა.

— ვცადოთ! — დავეთანხმე მე.

ექიმი აღშფოთებული სახით საათს აკვირდებოდა.

როდესაც თერმომეტრი უკანვე ამოიღო, აღმოჩნდა, რომ მე ერთი გრადუსი სიცხეც კი არა მქონდა.

— ასეთ ტემპერატურის დროს საყინულეში თავისუფლად გადააქვთ კენგურეს ქონი ავსტრალიიდან შვეიციაში და ის გზაზე არ ფუჭდება! — თქვა იმედ-დაკარგულმა ექიმმა.

- მაშ რა ვქნა ექიმო?
- მედიცინა ამ შემთხვევაში უძლურია. იყიდეთ სხვა თერმომეტრი ეს კი დაამტვრიეთ.
- ჯობია, ვინმეს ვაჩუქებ!



— თქვენ თუ გყავთ მტერი, რომლის შურისძიება თქვენ არ ვასვენებთ, — აჩუქეთ. დაე, დაიღუპოს!.. მაშ, ნახვამდის! იყავით ჯანმრთელად! სხვა ხომ არაფერი გაწუხებთ.

— გმადლობთ ექიმო. არაფერი, ზარის რეკვის გარდა.

— როგორ ზარის?

— ზარის, — საღვიძებელი ზარის წკრიალი... ყურებში... დღე და ღამე, გამუდმებით...

— გარკვევით გესმით?

— ცხადია, გარკვევით. მეზობლებიც კი ჩივიან. თურმე მაშინაც კი რეკავს, როცა მე სახლში არა ვარ.

— თათქოს ყურებში გირეკავთ არა?

— ყურებში პირდაპირ!

ექიმმა შეუშინებულად ამოიხენეშა და პაციენტების წიგნი ისევ გადაშალა:

— ბებია თქვენი ლოთი ხომ არ იყო?

— არა.

— მამა ნორმალური გყავთ?

— ნორმალურია.

— ნათესავები ყველა ჯანსაღად არიან?

— გმადლობთ ექიმო, ყველანი კარგად არიან, მხოლოდ მე კი ზარის წკრიალი მაწუხებს.

— ხშირად გესმით?

— ღამეში შეიძვერ, დღე უფრო.

— საკვირველია, რა პირობებში ცხოვრობთ? ნორმალურში? მაშ ამიწერეთ!

— მარცხნივ საწოლია; საწოლს ქვეშ ფეხსაცმელები აწყვია; მაგიდაზე სურათია პატარა ჩარჩოში ჩასმული; იქვე ძევს პაპიროსი; იქვე დგას აგრეთვე მალვიძებელი საათი.

— გიჟი!

— გიჟი ექიმო! გიჟი საათი! გადარეული!

— რად არ მითხარით თავიდან რომ თქვენ მალვიძებელი საათი გქონდათ? სწორედ მას დაუპარგავს თქვენი მოსვენება.

— მე მას აღარ ვმართავ ექიმო.

— საქმეც მაგაშია; სწორედ იმიტომ რეკავს: რომ მომართო, მაშინ ზმანაც არ ამოიძლებს. მე მაგ პროდუქციას საუცხოოდ ვიცნობ. თუ გინდა მოისვენო, მომართე სამუშაოდ და სიტყვას გაძლევ; რომ ამის შემდეგ არც დარეკავს და იმუშავებს.

ამ სიტყვების შემდეგ ექიმმა ბეჭებზე ხელი მხიარულად ჩამოკრა და გამამხნეველი ღიმილით კარებისაკენ მიმაცილა.

— სავსებით ჯანმრთელი ყოფილხართ. წაბრძანდით, უსმინეთ რადიოს, იკითხეთ წიგნები, ჭამეთ ხილეული. მალვიძებელი საათი კი საღმე გადაავადეთ.

— გმადლობთ ექიმო, — ვუთხარი მე: — თქვენ მე პირდაპირ მკვდრეთით აღმადგინეთ. მე კი იმედ დაკარგული ვიყავი... ავდეგ დღეს დილით და წვერი მოვიპარსე.

— რაო? წვერი მოვიპარსეო?

— ჰო, წვერი!

— მერე რითი მოიპარსეთ?!

— სამართებლით, ჩვენებური სამართებლით.

— უფნებს რომ ვეძახით?

— ჰო, უფნებელი.

— ნუთუ მართალს ამბობთ?!

— მართალს გეუბნებით.

— მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენში დაშვადებულ უფნებს სამართებლით შეიძლება წვერის მოპარსვა. მე თქვენ აგრე გაგიგეთ, რავეყოთ... ახლა გვიანაა. გვიან მოხვედით ჩემთან.

ექიმმა მწუხარე თვალებით შემომხედა და დაშაჯრებელი ტონით მითხრა.


— ლოთი ბებია გყოლიათ მოქალაქე... ალბათ ხელს არც ბაბუა თქვენი აკლებდა. თქვენ ვერ შეგინიშნავთ... არც ნათესავები გყოლებათ ჯანსაღი. ხუთშაბათს შემოიარე; ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგწერთ, გნებავთ, ახლავე დაუძახებ სასწრაფო დახმარებას! ნუ გრცხვენიათ! ამ მდგომარეობაში თქვენი დატოვება შეუძლებელია...

—:—  
ორი დღეა რაც შინიდან აღარ გამოვდივარ. მაგიდაზე ჩემს წინ აწყვია ჯაგარგაცენილი კბილის ჩოთქი, 41 გრადუსზე გაჩერებული თერმომეტრი, უნგამოდებული და კბილებ ჩაფუცქვნილი „უფნებელი“ სამართებელი და მართული მალვიძებელი საათი.

ხვალ ხუთშაბათია, არ ვიცი წავიდე ექიმთან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გასაწერათ, თუ უნივერსალურ სავაქროში, — მათი პროდუქციების ხარისხის შესახებ მოსალაპარაკებლად? მე ვარ შეშლილი თუ წუნია ყველაფერში დამნაშავე? მომეცით პასუხი.

აპ. ბუხრიძე.





კულაკი:—„ეშმაკსაც წაუღია ეს მანქანები, მათგან ხეირი არ იქნება, მწერების მკამელი ჩიტები დააფრთხეს, მწერები გომრავლდებიან და, სულერთია, ზარალი მეთი იქნება.“  
 მაქსიმ გორაკის სიტყვიდან საბჭოთა მწერლების პლენუმზე

# გაგზავთქი

**ჩვენი სოფლისა „სულიკო“  
 სჯობდა რომ დაკარგულიყო.**

სოფ. ახალი ხიბულოს (ხონის რაიონი) საბჭოს თავმჯდომარე ვალ. ჩიტაიას იშვიათად ნახავთ საბჭოში, იგი მაულ. დღეს ღვინის სმასა და პირად საქმეებს ანდომებს.

ჩვენ თავმჯდომარეს ვეძებდით, ვერ ვნახეთ დაკარგულიყო. გულამოსკენილი ვსტიროდით: — სადა ხარ, ჩვენო სულიკო?

სამიკიტნოში შევედით ბოთლებში ჩამალულაყო. შემოგვხვდა, გვითხრა, შეგვძახა: „...“

**დღეს მერცხალი შემოფრინდა...  
 მუშაობა ვიფუძინდა.**

„ბათომის ნავთსადგურის მუშათა კლუბს არაერთი მომსახურება არ გაუწევია თესვის კამპანიის დროს თავისი საშეფო სოფელ—გონიოსთვის.“

დღეს მერცხალი შემოფრინდა კიკიკითა გადმოგვძახა: „შარშან ჩემი წასვლის შემდეგ შეფმა ეთჯერც თქვენ არ ვნახა.“

მაგრამ რაკი მალე მოვა გაზაფხული და ზაფხული, ნახავთ შეფმა რომ გამართოს ამ მიმოსილა არნახლო!

დააცადეთ კიდევ ცოტა, დამწიფდება ბალი, ვაშლი. მაშინ შეფის შესახვედრად ვნახოთ სუფრას როგორს გაშლით!

## „პირველ საამქროს“

ლითონთა კონსტრუქციის ქარხნის (ადგილობრივ, შრეწვ. სასკომბატი) პირველი საამქრო (უფროსი იაგრიანი) 75 პროცენტს წუნდებულ საქონელს უშვებს

თუმცა სახელად გქვია „პირველი“ — ქარხნის თვალი, და საამქრო „მხსნელი“ მაგრამ ყოფილხარ სწემით, ნამდვილად უკანასკნელში უკანასკნელი

# კონტრევოლუციის მუზეუმი

ნახ. განუის.



— კიდევ ერთი სურათი და ჩვენი ბიჭების მთელი კოლექცია გვექნება!

## გ ა ა ს წ რ ო



ცხოველების სამეფოში  
გარდატეხა დიდი მოხდა:

გააზიზდა ღრუტუნია,  
დასეირნობს სუფდათ, კობტად

მაგრამ ზოგი მოქალაქის  
ხალღრეს გავს ხშირად პინა,

წამოწვება ნაგავში და  
კბაუოფილი ძილით ხვრინავს.



**სიფრთხილე.**

ერთ სცენის მოყვარეს სულელის როლში გამოსვლა შესთავაზეს.

— არ გამოვალ — კატეგორიულად განაცხადა მან.

— რატომ? — შეეკითხა რეჟისორი.

— მაშინვე მიცნობენო! — განაცხადა მან.

**„ფსიხალი“**



— დედი, დედი, ერთი მითხარ თუ ღმერთი გწამს, ხარაზი ღალუა სადა დგას?..

— დედა შენა და ბნედა: რაო მასხარად მიგდებ, ხარაზი ღალუა ხომ შენა ხარ!

— ვიცი, რომ მე ვარ, მაგრამ სახლი სადა მაქვს აღარ მახსოვს — უპასუხა მოხუც დედაკაცს გაღეშილმა ვამვლეღმა.

**პარტნიორი**

ერთი აზნაურის ოჯახში პარტნიორი გაცხარებული ბანქოს თამაშში იყო; იცდებოდა თამაშობდნენ. ერთი მოთამაშე მუდამ ბანკს იძახოდა და კიდევ ვებულობდა.

— დახოვე კაცო, რავე ერთი ცხოველივით მოსდები ამ ბანკს — უთხრა ყველაზე უფრო მეტად წაგებულმა აზნაურმა, მაგრამ მოგებელი თავისას არ იშლიდა. ბოლოს ერთის გარდა, რომელმაც ყველაზე მეტი წააგო, — შემოეცალენ

— ბანკი! — დაიძახა კიდევ მოგებულმა.

— რა ამბავია, სულ ბანკს რომ ღრიალებ! შენთან თამაშს ვირს რომ მოუჯდევ გვერდით და იმას ვეთამაშო ის მირჩევიან! — შესძახა წაგებულმა.

— „მომასწარი, თორემ მეც მაგის თქმა მინდა; იმას ეთამაშე სწორედ შესაფერი პარტნიორი გეყოლებათ“ — უპასუხა აზნაურმა და ჩქარა ნაზიჯით შინისაკენ გაეშურა.

**ბაყალი და დედაბერი**

ერთი ბაყალი გაკოტრდა. სიღნაღში წავიდა და ხატების მალაზია გახსნა.

ერთხელ ერთი დედაბერი შევიდა მალაზიაში და წმინდა გიორგის ხატი მოითხოვა. ბაყალი წმინდანების გარჩევაში ჯერ კიდევ არ იყო კარგად დახელოვებული და პირველივე შეხვედრილი ხატი ვადმოიღო და დედაბერს შესთავაზა: დედაბერი ხატს დაუკვირდა არ მოეწონა და უკანვე დაუბრუნა იმ ღიზით რომ ხატი წმინდა გიორგის არ არისო. ბაყალმა ყველა ხატები დაიფიცა, რომ მისგან მიწოდებული ხატი წმინდა გიორგის ხატი იყო. მაგრამ ჯიუტი დედაბერი მაინც ვერ დააჯერა. ბოლოს, რომ ვერაფერს გახდა, დედაბერს შეეკითხა:

— აზირ, რითი ატყობ რომ წმინდა გიორგის არ არისო!

— განა არ ვიცი რომ წმინდა გიორგი ცხენზე უნდა იჯდეს?

ბაყალი არ დაიბნა, ხატი ისევ დედაბერს გაუშვირა და უპასუხა:

— ვა შე დალოცვილო სულ ცხენზე ხომ არ იჯდომება, ვერა ხედავ ძირს ჩამოსულა რალაც საქმისათვის?! წაილე დედი და მინამ სახლში მიიტან, კიდევაც შეჯდება!

**მკვლელი**



— ავეტიქ, გაიგე, კაცო?! ი ემე, ჩვენს ქნიახს, რევოლვერი უსროლია თავისი თავისთვის.

— ვა, ინჩეს ასუმ?! იმას ხომ ჩემი სამასი თუმანი ჰპართეებს, ახარ, ეგ რა ნამუსიათ თავის თავისთვის ლევერი უსვრიდა და მე მოუკლავარ!

**დიდი პინეე**

ვარანცოვის დროს ტფილისის ორ დედაკაცს აბანოში ჩხუბი მოუვიდათ.

— ვინ მოთრეულხარ, ნეტავ, აქ-ეუბნება ერთი მეორეს: იცი მე ვინა ვარ? მე „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ცოლი ვახლავარ... მე მე. როგორ მიბედავ სიტყვის შემობრუნებს შე... შე..



— ქა! ვუი შენ თიებსა! ვინ ეშმაკი მოთრეულხარ! მე „ტი... ტი... ტურტლიანი ოს-ფფას ცოლი კი არ ვახლავარ!.. მე ჯვარის მამის დეკანოსის ნათლი დედის მძახალი ვარ! მააშ!!... მიარტყა თავ-მომწონედ მეორე!.

**მოლას სიზმარი**

მოლა სიზმარში ღმერთს შეეხვეწა

— ღმერთო, მოხედე ჩემს გაქირებებს და ერთი ხუთი მანათი გადმომიგდეო.

ცოტა ხნის შემდეგ სიზმარში გამოეცხადა ვილაც უცნობი და ოთხი მანათი და ოთხი ცდაცხრამეტი კაპიკი შეაძლია.

— არ იქნება! ხუთმანეთზე კაპიკს არ დავაკლებო! — გაჯიუტდა მოლა.

ცოტა ხნის შემდეგ მოლას გამოეღვიძა. ცოტა ჩაფიქრდა შემდეგ ისევ დახუტა თვალები და დაიძახა

— კარგი მანახმა ვარ! ღმერთს როგორ ვაწუხებო ოთხი მანათი და ოთხმოცდაცხრა მეტი კაპიკი იყოსო.



## აშხანაგო ნიანგო!

მეცნიერებაში ჯერჯერობით კიდევ არ არის გამოკვეთილი, თუ რას წარმოადგენს სიზმარი და რა იწვევს მას.

ჩვენ არც ისე პრიმიტიული შეხედულების ვართ სიზმარზე, როგორც ზოგიერთები არიან ხოლმე სოფელში. მაგრამ სიზმრის ასახსნელად ჩვენ ძალიან გამოგვადგება ჩვენებური ანდაზა: „მელი-ას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“, ანდა „მელიას ძილში ქათამი ახსოვსო“. აი ამ თქმულებათა საშუალებით და მელას დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიზმარი არის (უმთავრესად) დღიურ ფიქრების გაგრძელება და მათი სხვა და სხვა ვარიანტები სიზმრების სახით ძილის დროს.

ეს ჩვენი მწარე პრაქტიკიდან დავამტკიცეთ. მოხსენებული თქმულებები, მართალია, შელიას შეეხება, მაგრამ ადამიანებზედაც ზედ გამოჭრილია.

ჩვენ, ორპირის საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც სამ თვეზე მეტია ხელფასი არ მიგვიღია ჩვენი რაიონის ფინგანის წყალობით, (ალბად ჩვენს ყოფაში სხვაგანაც არიან ჩვენი ამხანაგ-

ბი) მხოლოდ სიზმარში ვხედავთ ჩვენს ხელფასს, თითქოს მას ვღებულობდით. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველთვის მასზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ.

ამას წინააღმდეგ ვინ ცოტა უსიამოვნებაც კი მოგვივიდა ცოლშვილთან.

საქმე შემდეგში იყო:

გათენებისას დაგვესიზმრა, თითქოს ხელფასს გვირიგებდა ჩვენი ფინგანი. ვიდექით რიგში და ვღებულობდით, როცა სალაროს მივუახლოვდით და უწყებაზე ხელისმოწერას ვაპირებდით, გაგვალვქცეს:

— ადექით, უკვე გათენდა, სკოლაში დაგაგვიანდებათ!— გვითხრეს ოჯახში.

— ქალო, რას მალვძებდი, ეგებ სიზმარში მაინც ამელო ხელფასი!— გაუუჯავრდით მათ.

ამის შემდეგ ისე გავგიტყდა გული ხელფასის მიღებაზე, რომ მისი მიღების იმედიც დავკარგეთ და ახლა სიზმარშიაც აღარ გვეჩვენება!

ორპირის მასწავლებლები.

## ნანადრევი გაზაფხული

### ხალხური ანდაზა:

„მარტი რომ წინ ვედვას, ზამთარს ნუ აქვს და ნურც აძაგვს“—ო, საქ. ამინდის ბიუროს საყურადღებოდ არის ნათქვამი.

ღამის თორმეტ საათზე მოუკაკუნეს კარებზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსოს.

- გძინავს კაცო?
- გეძახიან, ვილაც მოვიდა!— გამოალვინდა ცოლმა თავმჯდომარე.
- ჰა... მ-მ-მ...— ძლივს გამოერკვა სოსო.
- ხომ მოიგო!— გაისმა ერთი სტუმრის ხმა.
- საკვირველია!— მიუგო მეორემ.
- მართლა მოიგო, მამა?— გამოიღვიძა

### მასპინძლის ბავშვა.

— მოუგია შვილო, მოუგია! ეშმაკი კაცია ჩვენი ზოოტექნიკი, რომ იტყვის უეჭველად უნდა ასრულდეს; რას ვიფიქრებდი, თუ ექვსი თვის წინააღმდეგ დამაკებული ძროხა ასე აღრე ხბოს მოიგებდა!— თქვა თავმჯდომარემ.

- კარები გაიღო.
- რამდენი მოიგო?
- არც ისე ბევრი, ხუთმეტი!
- რამ გადაგრიათ კაცო!— წაშოიძახა გაკვირვებულმა მასპინძელმა და თვალები მოიფშენიდა: ეგონა სიზმარში იყო.

თემა ყარყუმის.

ნახ. შ. თავართქილაძის.

ტფ. მე 19 სკოლის მოწაფეების ფული, რომელიც წიგნებისათვის მოაგროვეს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.



მასწავლებელი: — აბა გივლა, ოცი მანეთის წიგნები მოგვიცა, თითო წიგნი ოთხი მანეთი ღირს, ხუთ რამდენი წიგნი მაქვს მოცემული?  
მოსწავლენი: — არცერთი, მასწავლებელო.

სტუმრები სკამებზე ჩამოსხდნენ. მასპინძელმა ფანარი აანთო და მოსულებს მიმართა:

- წავიდეთ, ვნახოთ
- უკვე სულყველამ იცის.
- საფურე რამდენია?
- ჰა?
- საფურე!
- არცერთი!
- საკვირველია!
- გაიგე კაცო, სანაძლეო მოიგო, სანაძლეო, ხუთმეტი მანეთი!

(ცნობისათვის; კოლმეურნეობა თესვისათვის მზად იყო ამინდს ელოდებოდნენ. დღეს 9 მარტს კოლმეურნეობის წევრმა მიხამ დაიჩქმა: „ხვალ კარგი ამინდი იქნება“—ო და ამ მიზნით ყაფლანს დაენაძლევა.)

სტუმრებმა გაზეთი გაშალეს.

— ამინდის ბიურო აცხადებს ხვალღან გაზაფხული დადგებაო, ატმები აყვავდება, ბალახი აბიზინდება და ერთი სიტყვით ძალაან დაცხებაო, გაზეთში წერია. ხვალ დილიდან სათესად უნდა გავიდეთ!

- ბრიგადირებმა იციან?
- უკვე შევატყობინეთ, მინდორს აღრიანად შევესევი...

ღრუბლიანი დილა გათენდა. და „შეუღვენ მთესველნი თესვას!“

— მაშ, მიხამ მოუგო?— იძახდა ერთი.

— ყაფლანს როგორღა მოუვიდა რომ შეცდა! ფოკუსნიკი კაცია, ორ წელიწადს მექისეთ იყო ქალაქის აბანოშია.— ამბობდა მეორე: ლაპარაკი არც კი დაემთავრებია უკანასკნელს, რომ ამ დროს დაიწყო თოვა.

დადგა ქარბუქი და მიხედვრად გასულ კოლმეურნეებს სულ კუდით ქვა ასროლინა...

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ამინდის ბიუროს „ბალში“ კი „გაფოთილ“ ატმის შტოზე ბულბული შემოჯდა და ჩაალიდინა:

„საქმეში თუ ვერ ერკვევი  
ძია ჩემო, კოწიო,  
ნუ ცდები და ნურც სხვას აცდენ,  
სხვა ადგილი მოძიეო!“

ამინდის ბიუროს თანამშრომლები კი ისხდნენ და შემდეგი დღეების ამინდის კვლევაში საუკეთესო ხარისხის მარწყვს „შეექცეოდნენ“...

ყარყუმი.

მე ახლახან დამნიშნეს ფერსათის (ბაღდათის რაიონი) აშხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.


კოლმეურნეობის მუშა-საქონელს აკლია საკვები—3.000 კონა ჩალა. ამან, რა თქმა უნდა, ცუდი გავლენა იქონია მათ ჯანმრთელობაზე. ბევრი მათგანი ისეა სიმშობისაგან დასუსტებული, რომ საეჭვოა გუთანში გამოგვადგეს. საჭირო ჩალის შეძენაზე იმდენი არ მიფიქრია, რამდენიც ვიფიქრე ისეთი რაიმეს გამოგონებაზე, რაც დამშეულ საქონელს ენერგიას აღუდგენდა კვების გარეშე.

გამოგონება სრულიად მარტივია და უბრალო: გუთანში გაბმულ დამშეულ საქონელს წინ მიუძღვის კოლმეურნეს პატარა ბიჭი, რომელსაც ხელში უჭირავს ერთი კონა ჩალა. დამშეული საქონელი მიიღებს ჩალისაკენ, რომელსაც ვერ სწვდება, რადგან ბიჭი ყოველთვის ერთი საუენით წინ მიდის.

აი ეს ჩემი გამოგონება დიდ ეკონომიას იძლევა: საქონლის საკვებს ამცირებს 75 პროცენტით. საჭიროა სხვა კოლმეურნეობებში გამოეხმაურონ ამ გამოგონებას და გაატარონ ცხოვრებაში.

უნდა ავლიწნო, რომ ამ გამოგონებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩემი კოლმეურნეობის ჩემს წინა მორბედებს, თორემ მარტო მე ვერ შევძლებდი ამის გამოგონებას, რადგან ჯერ ორი თვეც არ გასულა, რაც მე ამომიჩიეს თავმჯდომარედ.

ფერსათის (ბაღდათის რაიონი) აშხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე: ძ. ზრამლაშვილი



— როგორ კაცო, ამხელა კაცი ორ ფუთზე შეტა არ გამოვედი?!  
— ვაჰ, უკაცრავად, ფიქრებში წავედი მეგონა ხორბლის ტომარას ვწონიდი!

ელვა

გოღორი

მუშაობის დაფასება

ქაზრამთი. (გურჯაანის რაიონი) გადაწყვეტილია სანი თვის ვადით გაიგზავნოს დასასვენებლად საუკეთესო აგარაკზე ფოსტის გამგე რომელმაც გააუმჯობესა ფოსტის მუშაობა და შემოიღო წერილების დასილოსებისა და დეპეშების თესვის ახალი მეთოდი.

უზალთუნი

დაკარგვა

ლანჩხუთი. რაიმიშვანის გამგეს დაეკარგა თავი, რაიც საგრძნობად მოქმედობს მიწვანის ცუდი მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე. მიღებულია ზომები გამგის დაკარგულ თავის საპოვნელად და პატრონისათვის დასაბრუნებლად.

გურული

ამინდის მიხედვით

მუთაიხი. პედ. იმსტიტუტის სტუდენტთა საჩივს გამგემ შემოიღო ახალი ნიხრი კარგ ამინდში ჩაი იყიდება 20 კ. ხოლო ავდრიან დღეს—40 კ.

მ. ილმელი

იზვიათი უმთხვევა

გურჯაანი. უკვე ერთი კვირა გადის არ დამთვრალა ელსადგურის გამგე-მექანიკოსი რაიც უკვე დაეტყო ელსადგურის მუშაობას.

გრ.—იანი.

უცნაური დავალება

ზესტაფონი. ვინაიდან ქალაქის ქუჩები შეუკეთებელია და განათებაც არარის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა მთვარეს ხესტაფონის ქუჩების განათება.

კაუი

ოსიძეოს (ქ. მახარაძე) თქვენ უკანასკნელად გვეკითხებით: სად დაეკარგა თქვენი ლექსი: „ჩემს ოლინკას“ რომელიც ჩვენს რედაქციას გამოუგზავნეთ ჩვენ არ დაგვიკარგავს თქვენი მარგალიტი და ამის დასამტკიცებლად ვაქვეყნებთ მას:

„ჩემს ოლინკას“

ჩემო კარგო ოლინკა რატომ მიბღვერ ხარით? არ გიყვარვარ? მითხარი, გავხდი თოხის ტარივით.

—

თუ გიყვარვარ—რას უცდი, ხომ არ ელ. ძველ დროსა? პირტიტველა ბიჭი ვარ, (თუმცა ცოტა ვარ ქოსა!)

—

ჩემო კარგო ოლინკა დღეს გიჟი ვარ შენითა, თუ მოგვკვდები არ ვჩივი მულამ შენი მწერითა!

—

ჩემო კარგო ოლინკა, რატომ მიბღვერ ხარით, ხომ გიყვარვარ, მითხარი: გავხდი თოხის ტარივით.

ტყუილა უსაყვედურებთ ოლინკას. რომ ხარით გიბღვერთ. ამისთანა ლექსების წერისათვის ხარით გადმობღვერა კი არა, კეტიც რომ მოგცხობთ მაინც ახი იქნება.

ფორტოხალს (ჩაქვი) მოგვყავს თქვენი „ლექსის“ შემდეგი ადგილი: გთხოვ გვინახულო სეკრეტანთ შენი ჩანგლითა, ნიანგო,

და აქ ცნობილი ექიმო ჩორნოუსოვი მიაგო ყოველ დღე-ღამე მთვრალია, სულ არ შეფერის ექიმსა. მწამს ჩამოაგებ ჩანგალზე თუ შენი ხილვა გვეღირსა!

გაცნობებთ რომ ნიანგი „სეკრეტანდ“ ჩვენს ქვეყანაში არ დადის რაც შეეხება ექიმ ჩორნოუსოვს, ნიანგს ის დიდი ხანია აღრიცვავს ყავს აყვანილი და თუ არ გამოსწორდა გეაცნობებთ დამატებით და ჩვენს მახლობელ ნომერში „ჩაგაკარტიჩებთ“

პეტროლო შიამის (ტფილისი) მეათე-ჯერ გვწერთ, რომ თქვენ დიდი სურვილი გაქვთ ითანამშრომლოთ ჩვენს ქურნალში. ამავე დროს თავს გეაცნობთ ცნობილ პოეტად, რომელსაც მესამე წელიწადია მწერალთა კავშირში განცხადება შეგიტანიათ წევრად მიღების შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი არ გღირსებიათ (ალბად ვერც გღირსებიათ!)

თქვენი სურვილის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, რომ თქვენი ლექსის წაკითხვის შემდეგ თქვენი პოეტობა გვეგრძნო. მაინც მოგვყავს სანიმუშოდ თქვენი „ლექსის საუკეთესო“ ადგილი:

თოვლი თხილისში.

რა თოვლია, რა თოვლი თეთრი შაქარივითა, გზაში კაცი დაეცა ფეხებით და თავითა. ტრამვიდან გადმოხტა და გაიქცა ქურდია, მილიცია უყვირის: სტოი, იდიოშ კულია!

# „ჴპრო-ჴპრსა...“

თემა ფარხადანის

ნახ. ს. ნადარეიშვილის

„პაიდელბერგის (გერმანიაში) უნივერსიტეტის პროფესორმა ფაშისტმა  
შტერმა განაცხადა, რომ არიული რასის გამოცნობა სუნით შეიძლება“  
უცხ. გაზეთებიდან.

საქართველო  
გეორგიანთა



ლოკი:—აგენ ვართ ხულიო ნათეხავნი და ხუნით ვცნობთ ერთმანეთსა.  
შენ შტერი ხბრ, მე — ღრუბუნა... ფერი-ფერიხა მადლი ღმერთსა.